№ 128 ივნისი 19, შაბათი 1893 ივნისი 19, შაბათი № 128

ГАЗЕТИ ДИРС

თოვე	მან. კ	თოვე	მან. კ.
12	10—	6	6 —
11	9 50	5	5 50
10	8 75	4	4 75
9	8 —	3	3 50
8	7 25	2	2 75
7	6 50	1	1 50

ცალკე ნომერი—ერთი შაური

ИВЕРІЯ

გაზეთის დასაკვეთად და კერძო განცხადებისა დასაბეჭდათ უნდა მიჰმართონ: თბილისში რედაქციას, კუკიაში, ავგზალის ქუჩაზედ, ტრუბეცკოი-ძეგლის პირდაპირ, თავ. გრუზინსკისეულს სახლში; წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების კანცელარიას, სათავად-აზნაურო ბანკის სახლებში, სასახლის ქუჩაზედ.

ფასი განცხადებისა. ჩვეულებრივი სტრიქონი რვა კაპეიკი.

1877—1893 საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი 1877—1893

„ИВЕРІА“

გამოდის 1893 წელსაც იმავე პროგრამით, როგორც აქამდე. ვისაც ჰსურს დაიკვეთოს გაზეთი „ИВ 1893 წლისათვის, მიჰმართოს.

ტფილისში: ა) თითონ რედაქციას, ნიკოლოზის ქუჩაზედ, ვარანცოვი ძეგლის პირდაპირ, თავ. გრუზინსკისეულს სახლებში, № 21; ბ) „ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების“ კანცელარიას, სასახლის ქუჩაზედ, თავად-აზნაურთა საადგილ-მამულო ბანკის ქარვასლის გასლერეიაში.

ტფილისის გარეშე მცხოვრებთა უნდა დაიბარონ გაზეთი შემდეგის ადრესით:

Тифлисъ. Въ редакцію грузинской газеты „ИВЕРІЯ“.

რედაქცია ამასთანავე აცხადებს, რომ იგი გაზეთის გაგზავნის გამო პასუხის მგებელ იქნება მარტო იმ ხელის-მოსაწერთა წინაშე, ვინც გაზეთის დაკვეთისათვის სწერს თავლს პირდაპირ რედაქციაში და ან „წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების“ კანცელარიაში წარმოადგენს, ანუ გამოგზავნის.

გაზეთის ფასი დაბეჭდილია გაზეთის სათაურშივე, ხოლო სრული პირობანი გაზეთის ადგილისა გამოცხადებულია უკანასკნელს გვერდზედ.

საკუთრად შპალიერის მაღაზია

კონსტანტინე იაკობის ძის

არუთინოვისა

(ერევნის მოედანი, გუბერნიის სამმართველოს გვერდით, სახლი თავ. არლუთინსკი-დოლგორუკისა; განყოფილება შუა-ბაზარში, სახლი აივაზოვისა, ჯიგარაშნის ეკკლესიის პირდაპირ).

დიდ-ძალი **შპალიერი** მივიღეთ, ნაჭერი 12 კაპეიკიდგან და უფრო ძვირი. მაღაზიაში არის აგრეთვე მრავალ-გვარი

ამერიკანული ტლეონკები

სტოლის გადასაფარებლად და სხვ.

ყოველთვისა გვაქვს შპალიერი რუსეთისა და უცხო ქვეყნების ფაბრიკისა; აგრეთვე სხვა მოწყობილობა ოთახის მოსართველად.

მორთულობის საქმეს კისრულობს ცნობილი ტფილისში დეკორატორი, **ივანე ერნესტის ძე ლანკო**, რომლის ნახვა შეიძლება მაღაზიაში დილის 11-იდგან 12 საათამდე და საღამოს 8 საათიდამ მაღაზიის დაკეტვამდე.

(12—3)

რუსეთის საგაჭრო და საკომისიო ბანკი

(ძირის ფული 1.000,000 მან.)

ისყიდება 5%-იანი **მოგებიანი ბილეთები** I, II, და III სესხისა თვეში **ხუთ-ხუთ მანათის** გარდახდით. მსურველთ შეუძლიანთ მეტ-მეტიც იხადონ თვე-და-თვე.

ბეთ უნდა იქმნას წარმოდგენილი არა ნაკლებ **15 მანათისა.**

კუპონები სრული საკუთრებაა მყიდველისა. ბეის წარდგენის შემდეგ მოგება მყიდველისაა.

დაზღვევა ბილეთისა **65 კაპ.**

სააგენტო იმყოფება ველიამინოვის ქუჩაზედ, ყოფიანისეულ სანოტარიუსო კანტორის ზემოდ. ღიაა 9 საათიდამ 2 საათამდე.

(50—32) აგენტი დ. ქ. თუთაევი.

მეაქარხნეები

საგაჭრო სახლი

ბენდერ-სტეფანოვი

ტფილისის განყოფილება სოლოლაკ. ქ. სახ. აღაბაბოვისა.

ისყიდება ყოველ-გვარი ახალ-მოდის ნაწარმოები სარფინკისა, საკუთარ ქარხანაში დამზადებული:

სხვა-და-სხვა ნაირი არშიანი და ახალ მოდის სარფინკები.

ჩესუჩა ტანთსაცმელისათვის.

სარფინკის ტანისამოსი ყუთებით საჩუქრად.

ცხვირსახოცები და თავმოსახვევები.

ნაქსოვი საშემოდგომო იუბკები არშიით.

სარფინკის ფერადი ძაფები ნაძახი ჩულქების საქსოვად.

მზა-მზარეული სარფინკის ტანისამოსი.

პერანგები კაცისა:

„ფანტაზია“ და გახამებული პერანგები.

საცვლები მანდილოსნებისათვის:

პერანგები, კოფთები და კალსონები.

ჩულქები და წინდები სარფინკის ძაფისა.

ქარხნის ფასად, იაფად. (35—35)

საკომერციო ცეცხლისაგან დაზღვევის საზოგადოება

დაზღვევა ცეცხლისაგან მოძრავისა და უძრავის ქონებისა.

სააგენტო იმყოფება ველიამინოვის ქუჩაზედ, ყოფიანისეულ სანოტარიუსო კანტორის ზემოდ. ღიაა 9—2 საათა-მდე.

(50—28) აგენტი დ. ქ. თუთაევი

საურთიერთო დაზღვევის საზოგადოება ჭირნახულისა სეტყვისაგან

საზოგადოების მმართველობა პატივისცემით აუწყებს **ვენახებისა, ხეხილიანის ბაღებისა, თამბაქოსა, სვიისა,** და **ბამბის** ნათესობის პატრონთ, რომ საზოგადოებასთან არსდება **ცალკე განყოფილება** ყოველ ზემოხსენებულის **სეტყვისაგან დაზღვევისათვის.** ვისაც სურს ჩაეწეროს საზოგადოების წევრად, რათა აღნიშნულ ქონების, დაზღვევის ნება ჰქონდეს სეტყვისაგან უნდა მიჰმართოს საზოგადოების სააგენტოს, რომელიც იმყოფება ველიამინოვის ქუჩაზედ, ყოფიანისეულ სანოტარიუსო კანტორის ზემოდ. ღიაა დილის 9-დამ ნაშუადღევის 2 საათამდე.

(50—47) წარმომადგენელი კავკასიისათვის დ. ქ. თუთაევი

გამოვიდ და აისყიდება ყველა წიგნის მაღაზიებში

ახალი წიგნი

ვალერიან გუნიასი

დრამები და კომედიები

წიგნი პირველი

1) **და-ძმა**, დრამა 5 მოქ.
2) **ჩათრევას ჩაყოლა სჯობიან**, კომ. 1 მოქ.
3) **მონადირე**, ვოდ. 1 მოქ.
4) **რაც არ მერგება—არ შემერგება**, კომ. 1 მოქ.
5) **არც აძეთ, არც იძეთ!**. ვოდ. 1 მოქ.

ფასი 50 კაპ.

ტფილისი, 18 ივნისი

შარშანწინდელმა და შარშანდელმა შიმშილმა რუსეთში მეტად გააცხოველა მწერლობა და მთავრობაც საგონებელში ჩააგდო. კერძო კაცნიც და მთავრობის მოხელენიც შეუდგნენ განხილვას, გამორკვევას, როგორ მოხდა, რომ ერთის წლის მოუსავლობით ოც მილიონზე მეტი სული, ქალი და კაცი კინაღამ შიმშილით გაწყდა. მიზეზი ასეთის უნუგეშო მდგომარეობისა ბევრის-ბევრი აღმოჩნდა; უმთავრასად-კი—ხალხის უგუნურება, გაუნათლებლობა და უსწავლელობა; მამულის სიმცირე, საძოვარ-სათიბის უქონლობა; მტკნარი უვიცობა სამეურნეო ტექნიკისა, რის გამოც მამული გაილახა, ძალ ღონე გამოელია, გამოფიტდა და გამოქარდა. უგუნურებამ ტყეები გაანადგურა და ამას აუარებელი უბედურება მოჰყვა. მოტვლეპილ მთა-გორაკებს წვიმა და ავდარი თავისუფლად რეცხდა, სინოყივრეს აცლიდა და უსარგებლოდ ჩაჰქონდა ღრეებში. უტყეობას ზედ ერთობოდა გვალვა, რომელიც იქვე გაზაფხულის პირზე სთუთქავდა მცენარეს.

რაკი მთავრობის ყურამდის მიაღწია მხვნელ-მთესველის ასეთმა გაჭირვებამ, საქმის დახანება აღარ შეიძლებოდა და კიდეც შეუდგნენ მხნედ მუშაობას. განსაკუთრებული ზრუნვა მეურნეობის გასაუმჯობესებლად მიენდო ახლად განზრახულ სამინისტროს მეურნეობისა და სასოფლო მრეწველობისას.

ტყეების გაშენება, ნიადაგის გაპოხიერება, კარგის ჯიშის საქონლის მოშენება, მდაბიო ხალხში სამეურნეო ცოდნის გავრცელება, რასაკვირველია, ერთს ან ორ წელიწადს ვერ მოხერხდება. ასეთს შემოქმედს და საშვილიშვილო საქმეს დროცა და დიდი ჯაფაც უნდა. შიმშილობა-კი შეიძლება ყოველ წელიწადს გვესტუმროს და სულ ერთიანად ჩაფუშოს ღრმად მოფიქრებული და სასარგებლო განზრახვა მთავრობისა.

მომავლისათვის ზრუნვა ძალიან კარგია, მაგრამ დაზარალებულს ხალხს ეხლავე უნდა დახმარება, პური არსებისა ეხლავე უნდა აღმოეჩინოს.

და, აი, ამ გაჭირებასაც მთავრობამ თვალი არ მოარიდა და მოიაზრა, რომ აუცილებლად საჭიროა, ზემოდ მოხსენებულს გარდა, სხვა ღონისძიებათა მიღებაც: მკვიდრთა გადასახლება გამოფიტულ ადგილებიდგან ნოყიერს მამულში; სახელმწიფო სათიბ-საძოვრის მცირედის ფასით დარიგება გაჭირვებულთათვის და სასმელ-საჭმლის უზრუნველ ყოფის წესდების შეცვლა და სხვა მრავალი წვრილმანი რეფორმები.

მართალია, ჩვენი ქვეყანა უფალმა დაიფარა იმ გვარ სიმშილისაგან, რომელიც დრო-და-დრო რუსეთს ეწვევა ხოლმე, მაგრამ მოუსავლობა ჩვენმა ქვეყანამაც იცის და, თუ ისე თვალ საჩინო არ არის, როგორც რუსეთში, იმიტომ რომ საქართველო შედარებით რუსეთთან მცირეა და ამისათვის მცირე მხარის უბედურება ნაკლებად იქცევს ყურადღებას.

დღეს მკითხველის ყურადღებას მივაქცევთ მხოლოდ ერთ რეფორმას, სახელდობრ სასმელ-საჭმელის უზრუნველ ყოფის წესდების ძირეულად შეცვლას. ამ საქმის ვითარება და ისტორია ბევრჯელ გვქონია აღნიშნული „ივერიის“ ფურცლებზე და ეხლაც ვიტყვით, რომ ორას წელიწადზე მეტია, რაც ეს წესი შემოღებულია, მაგრამ სასურველ ნიადაგზე ვერ დაუყენებიათ. ამბარ-ბეღელეში სწორედ პური მაშინ არ არის, როცა საჭიროა, სიმშილობის დროს.

შინაგან საქმეთა მინისტრის ამხანაგის ბ-ნ ფონ-ველევეს თავმჯდომარეობით დაარსებულმა კომისიამ კარგად შეისწავლა ეს საქმე, შეჭკრიფა მრავალი ცნობები მცოდნე კაცთაგან, მრავალი მათგანი კიდეც მიიწვია პეტერბურგს და მათის დახმარებით შეიმუშავა ახალი წესდება. შემუშავებული კანონი გაეგზავნება რუსეთის ერობათა, გუბერნატორთ, რათა გამოსთქვან თავიანთი აზრი და მისცენ მთავრობას რჩევა, როგორ უფრო სასურველია მოეწყოს ეს საქმე,

 და ეხოლოდ მაშინ პროექტი წარედგინება სახელმწიფო საბჭოს დასამტკიცებლად და დასაკანონებლად. დედა-აზრი ჩვენის კანონისა, რომლის უსარგებლობა და ავნებისობა ცხოვრებამ ასე ცხადად დაამტკიცა, ის იყო, რომ სოფლის მკვიდრს, გლეხს, იმდენი პური უნდა შეეტანა მალაზიაში, რომ მოუსავლობის დროს ჭეოფნოდა. ამ გვარი მოთხოვნილება კანონისა არაოდეს არ აღსრულებულა. ვსთქვათ, ხუთს წელიწადს ზიდეთ პური, ორ-ოლი ფუთი წელიწადში; ხუთის წლის შემდეგ ჭირნახული არ მოგვიდათ, შენახული ათი ფუთი დიდხანს არ გეყოფათ. ეს ერთი. მეორე ისა, რომ მალაზიის პური მოგეცათ ნასესად, რომელიც უნდა დაუბრუნოთ მალაზიას ახალ მოსავლიდან. მერე როგორ მოახერხებთ? მოუსავლობამ დაგაზარალათ, დაგაბუნათ, ოჯახი თითქმის დაგეცათ, ახალ მოსავლიდან-კი თავიც გამოიკვებე, ხარჯიც მიეცი და ვალიც გადიხადე. ეს შეუძლებელია. და აკი ნედლიმკებით იყო სავსე რუსეთის გლეხი, რომლის ამოდება უფრო ძრიელ ათასხირებდა ისედაც ღონე-გამოლეულ კაცს.

მეორე წერილში განვიხილავთ ახალ წესდების დედა-აზრს.

ა. ფრონელი

ახალი ამბავი

*** ჩვენ გვწერენ დაბეშით ყვირილიდამ, რომ დღეს, 18 ივნისს ორკილიდამ პირველი მატარებელი ჭიათურის გზით რკვიიდამ შორაპანს და მოიტანა თან შავი-ქვა ბ-ნის ნიკ. ბეს.-ძის ღოღობერიძისაო.

*** ფინანსთა სამინისტროსაგან მოუვიდა ბრძანება ტფილისის სამოქალაქო საკრედიტო სიზოგადოებას, მოიწვიეთ ყველა წევრნი-მსესხებელნი და აირჩიეთ ახალნი წევრნი-რწმუნებულნი.

საზოგადოების მმართველობას წევრთა კრება დაუნიშნავს 4 და 6 ივლისისთვის. საზოგადოებაში ირიცხება 821 წევრი—მსესხებელი. ესენი განიყოფებიან სამს ხარისხად. ყოველი ხარისხი ცალკე აირჩევს 24 წევრს—რწმუნებულს, რომელთა საერთო რიცხვი სულ 72 უნდა იყოს. პირველ ხარისხში არის მოქცეული 22 წევრი—მსესხებელი, სულ დიდის ქონების პატრონები; მეორეში —119 და მესამეში—680. რა თქმა უნდა, რომ საზოგადოების საქმეთა მართვა—გამგეობა შეძლებულთ ჩაუვარდებათ ხელში.

*** ჩვენ გადავიკითხეთ უკვე გამოცხადებული დებულება შესახებ ქალაქში სახლ-სადგურის მომქირავნეთაგან გარდასახადისა. ეს დებულება შეეხება მხოლოდ რუსეთის ევროპაში მდებარე ნაწილს, პოლონიითერთ, და არა ჩვენს ქვეყანას.

*** წარსულ მაისში გარდაიცვალა ტფილისში მდიდარი ფოსტის ოფიციანტი ალიმარადრე მაჰმედ-ალი-ხან იბრაგიმ-ალეგოვი. განსვენებული ყიზილბაში იყო, სპარსეთის ქვეშევრდომი და თავისი სიმდიდრე კავკასიაში შეიძინა. ერთი მესამედი ნაწილი თავისის არა პატარა შეძლებისა: 800 ათასი მანათი, უანდერძნია ღარიბთათვის განურჩევლად გვარ-ტომობისა.

*** დღეს, 18 ივნისს, ნაშუადღევის 2 საათზე, ჩამოვიდა კახეთიდამ თ. ილია გრ. ძე ჭავჭავაძე.

*** ქალაქის მცხოვრების დავით შოთაშვილის (1 პოლ. განყოფილება, ვარდისუბანში) 12 წლის ვაჟი მიხა წარსულ ორშაბათს შინიდგან გარედ გამოსულა და აღარ დაბრუნებულა. მშობლები დაეძებენ და ჯერ ვერ უპოვნიათ. თვალ-საჩინო ნიშანი არა აქვს-რა მიხა შოთაშვილს, იმას გარდა, რომ მარჯვენა მკლავი მოტეხილი აქვს, თუმცა ხელსა ხმარობს.

*** ამას წინად ჩვენ ვაუწყეთ მკითხველთ, რომ ს. ცხინვალში (გორის მაზრა) ფილოქსერა აღმოაჩინეს. ეხლა, როგორც შევიტყვეთ, საფილოქსერო კომიტეტს გარდაუწყვეტია, გაგზავნოს გორის მაზრაში ორი საფილოქსერო დასი, რომლებმაც უნდა გამოიკვლიონ, რავდენად არის გავრცელებული ფილოქსერა გორის მაზრაში, და ღონის-ძიება რამ მიიღოს, რომ აღარ გავრცელდეს. ამავე საქმის გამო 17 ივნისს გაემგზავრნენ გორის მაზრაში განმგე სახელმწიფო მამულებისა ი. ს. ხატისოვი, კავკასიის ექიმთა გამგეობის ხიმიურ ლაბორატორიის მმართველი ნ. ვ. სტრუვე, აგრონომები გეევსკი და ტარატინოვი.

*** ჩვენ შევიტყეთ, რომ ბ-ნი ლორთქიფანიძე, რომელიც ასწავლიდა მათემათიკას ქუთაისის სათავადაზნაურო სკოლაში, დაუნიშნავთ ამავე საგნის მასწავლებლად ბაქოს დედათა გიმნაზიაში.

*** დღეს, 18 ივნისს, ნაშუადღევის 3 საათზე, მუხრანიანთ ქუჩაზე დაიქცა სამი დუქანი და მათ ქვეშ სარდაფი ხოსროევის სახლში, № 21. ამ ავდრებზე დანოტიოებულა დუქნების კედლები, დამპალა უიმისოდაც დამპალი ჭერები, თავხეები და ბოძები და სახლის ზემოხსენებული ნაწილიც, ის იყო, ლამოდა თურმე დაქცევას. დუქნებში იყვნენ: ერთი ხაბაზი თათარი, ერთი ხარატი და ერთიც დურგალი. სარდაფში-კი ებრაელთა პურის საცხობი ყოფილიყო. რაკი შეუმჩნევიათ დუქნებისათვის, დაზიანებულიაო, ამ ერთის კვირის წინად დაუნებებიათ თავი დუქნებისათვის და გადასულან სხვაგან. ამისგამო სახლის პატრონს უჩივლია მომქირავნეთათვის, რად გადახვედით ვადის გასვლამდეო. მადლობა ღმერთს, რომ მდგმურების გადასვლის გამო უბედურება არა მომხდარა-რა ხოსროევის დუქნების დაქცევის დროს.

ხოსროევის სახლს გარდა, არა ერთი და ორი სახლი დანოტიანდა და საშიშია, რომ არ დაიქცეს. იმავ მუხრანიანთ ქუჩას ახლო, პოლიციის ქუჩაზედ, არის სახლი იაგორა მდივანისა, რომლის აივანი ძლივს-ღა ფამფალობს. საჭიროა დაათვალიერონ ზოგიერთს უბნებში, საცა ძველი, დიდის ხნის აშენებული ქოხ-ამხენია, და, თუ ვინიცობაა საშიში სახლები აღმოჩნდა სადმე, გამოიყვანონ მდგმურნი და მით ააცილონ ხალხს უბედურება, რომელიც შეიძლება ადვილად მოხდეს.

*** სოფ. ქარელი (გორის მაზრა): აქეთ ჭირნახულებს არა უშავს-რა. ცოტა არ იყოს, წვიმები-კი უჭირს. მაინც წლევანდელი მოსავალი აჯობებს შარშანდელს. მტკვარს გაღმა ურწყავებში მშვენიერი ყანებია, კარგებია მეტადრე ქერები, სარწყავშიკი მოსავალს კარგს არ ელიან, მეტადრე ალაგ-ალაგ. მშვენიერი ყანებია დიდ-ლიახვის მარჯვენა მხარეზე, მეტადრე სოფ. შინდისსა, თვალათუბანსა, ფხვენისსა და ორიოდ-სამიოდე სხვა სოფელში. ქერები ამ ორკვირაზე შემოვა; პურიც მალე გაიჭრება. ჭირნახულის ფასი დიდი არ არის, ამას წინად უფრო კარგ ფასად იყიდებოდა. ტივები ამ ორის კვირის წინად უფრო იაფი იყო, ვიდრე ახლა. ავადმყოფობა არა არის-რა ჯერ, მხოლოდ სოფ. ბრეთში იყო ამ ზამთარსა და გაზაფხულს ყივანახველა, რომელმაც მრავლად იმსხვერპლა პატარა ყმაწვილები.

გლეხთა მამული ტფილისისა და ქუთაისის გუბერნიებში

ამიერ კავკასიის სტატისტიკის კომიტეტმა ამას წინად დაჰბეჭდა კრებული, რომელშიც მოყვანილია ცნობები იმის შესახებ, თუ ტფილისისა და ქუთაისის გუბერნიებში რა სივრცის მამულია და ვის ეკუთვნის.

ტფილისის გუბერნიაში თავად-აზნაურობას და სხვა წოდების კაცთ, გარდა მოხარჯისას, ეკუთვნის 1,260,406 დესეტინა; ქუთაისისაში—815,376 დეს.

საბატონო გლეხი ტფილისის გუბერნიაში ყოფილა 14,497 კომლი. ამათა ჰქონიათ საბატონო მამული ბატონ-ყმობის გადავარდნამდის 76,730 დეს.—სახნავი და სათიბი მიწები. ნადელში-კი მიუღიათ 55,240 დეს., რაც თვითო კომლზედ შეადგენს 4 დესეტინამდე, ცოტა ნაკლებს. ეს ნადელი თანაბრად-კი არ არის განაწილებული, არამედ ზოგს მეტი აქვს, ზოგს ნაკლები, ზოგს დღიურის მეოთხედიც არა რგებია, ზოგისთვის-კი ათის დღისაც მიუზომიათ.

1890 წლამდე 2777 კომლს საკუთარი მიწა ჰქონია და 642 კომლს ნადელი შეუსყიდნია მთავრობის დახმარებით, რომელსაც ამ საქმისთვის უსესხებია 675,185 მან. 60 კაპ.; სულ შესყიდულია ამათგან 12,265 დესეტინა. მთავრობის დაუხმარებლად 961 კომლს 1314 დეს. შეუძენია; აქედგან მომეტებული ნაწილი თავად-ზნაურთაგან ნაჩუქარია, ზოგი სადაო მიწა დაუმტკიცებიათ გლეხობისათვის და მცირედი ნაწილი შესყიდულია. გლეხობა ყოველ წელს სახელმწიფო ხარჯს და ნდელის ფულს იხდის 419,109 მანეთს, თვითო კომლი 28 მან. 84 კაპ. სხვა გარდასახადთან ერთად თვითო კომლს შეაქვს ყოველ წელს 50 მანათამდე.

ქუთაისის გუბერნიაში 48,261 საბატონო კომლია. ამათგან 23,407 კომლს, მთავრობის დაუხმარებლად, 1889 წლამდე შეუსყიდნია 104,165 დესეტინა, 4,833,258 მანათად ღირებული; თვითო კომლს შეხვდება ოთხ-ნახევრამდე დესეტინისა.

სახელმწიფო გლეხი ტფილისის გუბერნიაში 48,250 კომლია, რომელთაც ნადელად უჭირავთ 857,517 დესეტინა. საკუთარი მიწა აქვთ 9,758 დეს. ქუთაისის გუბერნიაში 20,997 სახელმწიფო გლეხს ნადელი აქვს 30,507 და საკუთრება 18,064 დესეტინა.

სახელმწიფო გლეხობას შეადგენენ: სეკკლესიო გლეხნი, მეფის ნაყმევნი, ბატონისაგან თავ-დახსნილნი ბატონ ყმობის გადავარდნამდე, უმამულო თავად-აზნაურთა ნაყმევნი, აგრედვე ჯარის კაცნი, ნემცები—ახალშენები, რუსეთიდგან გადმოსახლებულნი და სხვ.

ამათ გარდა, ზოგი სახელმწიფო გლეხი დასახლებულია საბატონო მიწაზედ, თანხმად 1870 დებულებისა; ამათი რიცხვი 6,902 კომლია, რომელთაც უჭირავთ 51,650 დეს.

ტფილისის გუბერნიაში 6,732 კომლი ხიზანია; მიწა უჭირავთ 27,208 დესეტინა; გარდასახადი შეაქვთ ყოველ წელ ფულად 50,014 მან. და, ამას გარდა, მოსავლითა და ცხვარ-საქონლითაც უსწორდებიან მიწის პატრონს.

ქუთაიაის გუბერნიაში 1,313 კომლი ხიზანია; უჭირავთ 6,136 დესეტინა; ხარჯს იხდიან 10,471 მან. ფულად და ცალკე კიდევ მოსავლითა და ცხვარ-საქონლით.

ხიზანი აძლევდა მიწის პატრონს ყოველ-წლიურ გადაკვეთილ გარდასახადს, ხოლო ხელ-შეკრულობა არავითარი არა ჰქონიათ. ბოლოს, როდესაც უთანხმოება ასტყდა მემამულესა და ხიზანს შორის იმის გამო, რომ ერთ-ერთი მათგანი წინანდელ პირს აღარ ადგა, მთავრობა ჩაერია საქმეში და 1891 წელს გამოსცა დებულება ამის შესახებ. ყველა ხიზანის ნამუშავარი, სახლი თუ ვენახი და ხეხილი, ხიზანის საკუთრებად იქმნა ცნობილი; გარდასახადი პირვანდელი დარჩა და მამულის პატრონს ნება არა აქვს ხიზანის გადასახლებისა.

მუშა

(ელიზა ორჟეშკოსი)

აღსარების დროს მღვდელი ყოველთვის არიგებდა და ურჩევდა ვალენტის, ნუ ილოთებ, ლოთობა სულის წამწყმედია, იმ სოფლად ლოთს გახურებულ ტაფას ალოკვინებენო.

ვალენტი პირველად კრძალვით ისმენდა მოძღვრის სიტყვას, მაგრამ თან გაიფიქრებდა ხოლმე, მე რომ ჩემის ფულით დავლიო და ისიც კვირა-უქმე დღეს, ვის რა საქმე აქვს, ცოდო რად უნდა იყოსო! ისე დღით ხომ არა სვამდა, მუშაობაზედ მუყაითი იყო. ჰო, კვირაში ერთხელ-ორჯერ ამხანაგი თუ მიიწვევდა ჩარექაზე, აბა რა უარი შეეძლო, ან რა სათვალავში მოსატანია.

ხუცესი თავისას არ იშლიდა, ვალენტის სული საჯოჯოხეთოდ არ ემეტებოდა. ერთხელ ხომ ვალენტის სულ მოთმინება დაუკარგა: დაუწყო ქადაგება, რომ სმა უქმე დღეს უფრო ცოდვაოა.

— ეჰ!.. არაკებია, სხვა არაფერი!.. გაიფიქრა თავის გულში ვალენტიმ,—მაშ როგორ უნდა გაიგოს კაცმა კვირა-უქმე!.. ექვსი დღე ჯაფაში წელს ვიწყვეტავ, და კვირასაც არ გავიხაროვო?!.

ვალენტიმ თავი დაანება ბერნარდის ეკკლესიაში სიარულსაცა და აღსარების თქმასაც. როცა შეიტყო რომ ყველა სულიერი მამა ასეთსავე მძიმე ვალსა ჭდევს, ვალენტიმ სხვა ეკკლესიებშიაც აღარ გიარა.

ვალენტი ლოთი არ იყო... ექვსი დღე, მართლა, განუწყვეტლივ, დაუღალავად მუშაობდა, მეშვიდესკი შუადღემდის ეძინა და მერე რა უნდა ეკეთებინა. ოჯახი არა ჰყვანდა, ისე, ეულივით, უპატრონოდ იყო. იქვე ვალენტის ახლო ერთი მოსამსახურე ბიჭი სცხოვრობდა, რომელიც კაი მეგობარი იყო ვალენტისა. თუ მოცლა ჰქონდათ, ერთმანეთს არა შორდებოდნენ, მოჰყვებოდნენ ამ მთისას, იმ მთისას, გავიდოდნენ მერე ეზოს გარედ, და წავიდოდნენ თითო ჭიქა ლუდის დასალევად. ერთ კვირას ვალენტი მასპინძლდებოდა მეორე კვირას—ამხანაგი. ვალენტის კვირები როგორღაც ძლიერ მალ-მალე მოდიოდნენ. მაგრამ ის არც-კი ამჩნევდა: იმის ამხანაგს ცოლი და სამი შვილი ჰყავდა და ვალენტინს-კი ერთი კატაც არ ებადა, სარჩენი.

ხანდახან ისინი გაისეირნებდნენ ხოლმე ქალაქ გარედ. მაშინ-კი ლუდზედ კრინტიც არ დაიძვრებოდა! ვალენტი გაგორდებოდა ბალახზე, უბიდან ამოიღებდა და მომართამდა ჩიბუხს და გამოსცქეროდა ჭალატყეებს. ქალაქს-კი ზურგს შეაქცევდა, ექვს დღეშიაც ძალზე თავი მოაწყინა. იწვა წყნარად. ტყის საამური სუნი, წყლისა, ბალახისა და კიდევ რაღაც გამოურკვეველი ხმა ათრობდა მუშაკსა. ის დაჰხუჭავდა თვალებს, მიეყუდებოდა ზურგით ხეს და ყურს უგდებდა.

— უჰ, რა კარგია, აქ ყოფნა, რა კარგია,—ჩურჩულობდა ის თავისთვინ და გულში-კი რაღაც გაურკვეველი გრძნობა ულიტინებდა. როცა თვალს დაჰხუჭავდა, წყალი უფრო ხმა მაღლა ჩჩრიალებდა და ტყის შრიალი მოლხენის ნანას ეუბნებოდა.

ხანდახან, აგარაკად მცხოვრებელთა პატარა შვილები, გადმოეჭრებოდნენ ვალენტის, თუ ან ბურთი, ან ჩილიკი გადმოუვარდებოდათ მისკენ, და დაინახავდნენ თუ არა ტანისამოს—შემოცვეთილ ვალენტის, უქუდოს, გამტვრიანებულ ჩექმებში, საძილოდ მომზადებულს ჯმუხს მის სახეს, ბავშვები მაშინვე შეჰკრთებოდნენ, გაფთხებოდნენ და გაიფანტებოდნენ აქეთ-იქით; ან ამოეფარებოდნენ ხეებს, და იქიდგან ცნობის მოყვარეობით შესცქეროდენ, აცა თუ გაინძრა, თავს ვუშველოთო!..

— ეს ალბად ქურდი უნდა იყვეს, ან ყაჩაღი! ჩურჩულობდნენ ისინი თავიანთ-ავინ.

— იქნება მთვრალია? აბა, მაშ, გავიქცეთ!..

გარბოდენ და უკან უკან იხედებოდნენ, ხომ არავინ მოგვდევსო. ვალენტი მაინც გაუნძრეველად იწვა: ის ეხლა თავის ბედსა და ხვედრსაც არ გამოუდგებოდა, არამც თუ იმათ!..

ხანდახან ტყეში, მდინარის მეორე ნაპირიდგან, დიდი სიმღერა ისმოდა. უცოხნი უნდა ყოფილიყვნენ ის მომღერალნი. ვალენტის ბევრი არა ეყურებოდა-რა სიმღერაში, მხოლოდ გარმონიას როგორღაც იგებდა, და ეს შეთანხმება, ათ-თორმეტ ხმისა მოსწონდა. თუ უცებ შესწყვეტავდნენ სიმღერას, ისევ ერთად დაიწყებდნენ, თითქოს ერთი ყელი ჰქონდეს ყველა ამ მგალობელთაო.

ვალენტი ყურს უგდებდა სულ-განაბული და იფშნეტავდა მუშტით თვალებს, რომლებიც თითო საგანს ორორად აჩვენებდნენ.

ღამე ქალაქი ისევე თავისთან იპატიჟებდა ყველა მეგობრებს. ძილი ჯერ არ უნდოდათ, ერთის შეხედვით, უსიტყვოდ, თითქო ერთმანეთს ეტყოდნენ, ახლა-კი წავიდეთ მხიარულსა და გამართობელს წყაროზეო. ასეთი ადგილიც პატარა დუქანი იყო და მის გვერდზე პატარა ბალჩა, ე. ი. რამდენიმე ადლი შემოღობილი მიწა, საცა ჭინჭარის მეტი არა იყო-რა. აი აქ დალაგდებოდნენ ხოლმე ისინი, რადგანაც ხალხით გაჭედილს დუქანში უფრო ცხელოდა.

ვალენტი ჰმასპინძლობდა. წყვილი ბოთლის შემდეგ ის ძლიერ მოლაპარაკე ხდებოდა, ყოველ ჭიქის დალევამდე ან კარგს ანედოკტს იტყოდა, ან კარგს ძველებურს რასმე უამბობდა. დიდი ხანია, რაც ის პატარა იყო, როცა ცოცხალი ჰყავდა დედა. ერთხელ იმის „სამშობლოშიც“ წავიდნენ და იქ იმის ბიძაშვილებს რამდენიმე სკა ფუტკარი ჰყვანდათ. დედა, დიდი ხანია, მოუკვდა; ფუტკრებიც აქაობამდინ დაიხოცებოდნენ. ვალენტის-კი ისინი ხამუშ ხამუშ მოაგონდებოდა ხოლმე. ფუტკარი ერთად-ერთი ქონება იყო, მისთვინ სამკვიდროდ დატოვებული, რომელზედაც სრული უფლება ჰქონდა. ყოველთვის და ყოველ ჟამს, როცა-კი მისი გული არყითა და ლუდით მოდუნდებოდა, სკა და ყველა ბიძაშვილები თვალ-წინ გამოეჭიმებოდნენ, სწორედ იმ სახით, როგორებიც წინად ენახა.

— ღმერთმანი, ყველაფერს თავს დავანებებ, წავალ ისევ ჩემს მხარეს!.. რა, მე ხომ მაწანწალა არა ვარ, რომ ასე ვიხეტიალო? ღმერთმა დამიხსნას!.. მეცა მყავს ჩემიანები, სკებიცა მაქვს სამი, არა, ხუთი; ხუთი სკა მთლად ჩემი საკუთრებაა. ოჰ, ჩემო, ფუტკრებო, თქვენ თავ-შემოგევლეთ!..

და თან ილიმებოდა და ილოკავდა ულვაშებს, თითქო თაფლი მისცხებიათო.

— აბა ჰა, ჩემო ნათლი, დავლიოთ ჩემ ფუთკრების სადღეგრძელო!

სვამდნენ ესე მთელს ღამეს.

როცა გამოფხიზლდებოდა, იმას აღარცარა „ჩემიანები“, და აღარცარა ფუტკრები აგონდებოდა: ამისათვის სად ეცალა. გაზაფხულიდან შემოდგომამდის იმას სამუშაო არ გამოელეოდა; სახლები, ქვით-ფენილი გზები, განათება, წყალის არხები,—ყველა ეს იმისი ხელობა იყო. აკი იმისთვისაც იტყოდა ხოლმე საზოგადო საქმეზედ სიტყვას, ისე, როგორც თავის საკუთრებაზე: „ჩვენ“ ეხლა გაზი, ან წყალი გაგვყავს; „ჩვენ“ ამასა და იმას ვაკეთებთო.

ისა გრძნობდა, რომ თითქო ვალდებული იყო, დაეცვა საზოგადოების სიმდიდრე-ქონება. როცა, ვსთქვათ, წყალის ამოსაღებთან შეხვდებოდა ბავშვებს, ის დაუყოვნებლივ გარეკამდა.

— მე ვიცი, თქვენი!... განა ეგ თქვენი სათამაშოა და თქვენთვის არის გაკეთებული, რომ წამს არ შორდებით!... ნელა, ცხენებივით ნუ დარბიხართ!..

ბალღები ხარხარებდენ და ხანდახან წყალსაც-კი შეასხამდენ ხოლმე; ვალენტი მაინც არა ჩუმდებოდა, იმას ითითო წყლის მილი, თითო ფანარი თავის საკუთრებად მიაჩნდა.

ყველაზე საშიში-კი მისთვინ ზამთარი იყო, ყინვა, სიცივე, თოვლი, ნამქერი, ერთის სიტყვით, ღვთის რისხვას რომ იტყვიან!... შემოდგომაზედ ვალენტის სამუშაო ჰქონდა კიდევ, ორიოდ გროშს იღებდა, მაგრამ, რაც უფრო ხანი გადიოდა, უფრო სიცოცხლე უძნელდებოდა და ისეთი დღეებიც დაუდგებოდა, როდესაც კაპეიკსაც ველარ დაინახამდა თვალით. ის მაინც ადრე ადგებოდა ხოლმე, რომ ყველაზე წინად მისულიყო მოედანზე. ქუჩებში ჯერ ისევ ჯანყი და ბურუსი იდგა, აქაიქ მოსამსახურეები გვიდენ გზებს, დუქნები დაკეტილი იყო, ფანჯრებში ერთიც არავინა სჩანდა, და ვალენტი-კი ხერხით და თოკით მიჩლატუნებდა ქუჩაში. ზედა ტანისამოსი მაგრად შეეკრა, ფეხებზე ძველი „ფუფეიკის“ ნახევები დაეხვია, ქუდი თვალებზე ჩამოეფხატა და ისე კარიკარს დადიოდა და იცქირებოდა ეზოებში, აცა შეშა ხომ არავის ულაგია დასახერხიო. ვალენტის ეგონა, დღეს-კი უთუოთ ველარავინ ველარ მაჯობებსო, მაგრამ, რა ბრძანებაა!... ნემენცების ქუჩის ერთს კუთხეში ორი მხერხავი დაინახა, იქით კიდევ ერთი, ყველა გამზადებულები თოკებით და ხერხებით!...

— ოჰ, გაგიწყრათ ჩემი გამჩენი!.. წაიბურტყუნა მან და შურის თვალით შეჰხედა.

— აიგერა, აის ყვითლუჭა, ფეხებს რომ ძლივას დაათრევს, აგერ, სამი დღე იქნება, აქა დგას, და ჯერაც არავის წაუყვანია... ნეტა ვის უნდა ამისთანა ჭლექანი? კატის ღონეც არ ექნება, და მაინც ყველგან ეჩრება. ეს ბერიკაცი თითქო ჩამომრჩვალიაო, ცარიელი ძვლები და ტყავია. დგას გასუნთქულივითა და თვალიც ვერ დაუხამხამებია!.. ჩვენ-კი ხელს გვიშლის და ფასს გვიკარგავს!.. ხან ისე მცირე ფასად მუშაობს, რომ ლუკმას ძლივს შოულობს.

მალე მთლად მოედანი გაიმსო მუშებითა და ელოდნენ, აცა ვინ გამოგვიჩნდება, რომ წაგვასხას სამუშაოდაო!..

ქალაქი ნელ-ნელა იღვიძებდა; აქაიქ ბუხრის ბანიდან ბოლი ამოსკდა; დუქნებს აღებდნენ.

— დღეს არ იქნება ღმერთმა არ მამხედოს! ჰფიქრობდა ვალენტი, და თან გადასცქეროდა იმათ, ვინც, აგერ რამდენიმე დღეა, სულ მაგ გვარ ოცნებაში იყო.

დგომა და ლოდინი რომ შეაწუხებს, ვალენტი დუქანში შეიჭრებოდა. ნაცნობობით თუ ერთ სტაქანს არაყს მისთავაზებდენ, ისიც ნისიადა, იმ ფასის სარგებელში რავდენიმე კოკა წყალი უნდა მიუტანოს, შეშა დაუპოს და ნარეცხის წყალი გადაუქციოს; შეასრულებს, რასაც უბრძანებენ, და ისევ გარბის თავის ალაგას.

მუშების ახლო ხალხი ბუზბუზებს, ურმები მიდი-მოდიან; მოძრაობა, სიცოცხლე დაეტყო ქალაქს, ძაღლებიც-კი გარბიან მიუხედ - მოუხედავად, თითქო საჭირო საქმეზე მიეშურებიანო.

ვალენტი კი ჯერ ისევ უსაქმურადა სდგას, ხან ერთის და ხან მეორე მხრით მიეყრდნობა კედელს, ამთქნარებს... ეჰ, რა კარგა მიიძინებდა, რომ შეეძლოს... აქეთ-იქით იცქირება, ყურს უგდებს... დაინახავს თუ არა ვისმე არა მუშას, გამოიჭიმება. ხან-და-ხან რამდენსამე ნაბიჯსაც გაირბენს, მას მისდევს მეორე, მესამე და მეოთხე მუშა, მაგრამ თურმე მათი დაძახება არავისაც არ გახსენებია; ბრუნდებიან მუშები თავ-ჩაქინდრულები...

ბოლოს, როგორც იყო, ვალენტს გამოუტყვრა სამუშაო! ნაცნობ დუქნის წინ ურმები გაჩერდნენ; ვალენტის დაუძახეს, ეშველა გადმოღება საქონლისა და დალაგება; სამუშაო ერთს, ანუ მეტს საათს გასტანდა, და ერთ ექვს შაურს მისცემდენ,— კარგი არ იყო; დღეს ხომ ცალერ ხელით აღარ მოუხდებოდა შინ დაბრუნება.

საზოგადოთ-კი ზამთარში ძნელი დღე ადგა ვალენტის: თამბაქო და ლუდი ოცნების სამყაროშია. საჭმელსაც-კი ყოველ დღეს ვერა ჰხედავდა. მის ამხანაგის ცოლი ნისიად აჭმევდა სადილს, მაგრამ, რაც უფრო ხანი გადიოდა, უფრო ნდობა ეკარგებოდა და ამას არც უმალავდნენ: ყველანი ჩამწკრივდებიან და ის-კი თითქო არავის აგონდება; თვითონაც ხომ. რა ნება აქვს მიუახლოვდეს სუფრას, და დგას კარებში, ან დაფარფატობს, თითქო რაღასაც დაეძებს, ან არა და სადილობისას გამოვა გარედ თავ-დახრილი და წავა სადმე, იქნება პური მავალონო. ხანდა-ხან მის ამხანაგ მოსამსახურეს შეებრალებოდა და ჯამში პატარა საჭმელს დაუტოვებდა. ვალენტი მზად იყო თავმოყვარეობისათვის ფართო გზა მიეცა და უარი ეთქვა ამ მოწყალების ლუკმაზე, მაგრამ შიმშილი მის სიამაყეს ერეოდა—ასე, რომ საბრალო ნამცეცს არას დააგდებდა და გამკეთებელს ამოაყვანდა ჯამში. მაგრამ ყელში-კი ბურთივით რაღაც ეცობოდა, თითქო საჭმელთან ერთათ ცრემლებსაც ჰყლაპავსო.

დაიწყებოდა ყინულის ზიდვა, ქუჩების დაწმენდა, და მაშინ-კი ვალენტის საქმე გასწორდებოდა. გაზაფხულამდინ როგორც იქნება გაახწევდა; დაათბობდა თუ არა მზე, მუშაობა, ბალახთან ერთად, იჩენდა თავს. ხანდახან ათ-თერთმეტს ადგილსაც ჩამოსთვლიდა, საცა მასალა ყლაგა, სახლების ასაშენებელი.

მარტო ის ენანებოდა, რომ თანდათან სიბერე სძლევდა, ერეოდა, ხელები უკანკალებდა, ზურგი სტკიოდა და წელი უფრო და უფრო სწყდებოდა. იმას უგულოდ იჭერდენ სამუშაოდ, დამბლა მუშაო!— იტყოდენ ხოლმე. მძიმე საქმე აღარ ეხერხებოდა და მსუბუქს სად იშოვიდა! გაუჭირდა ცხოვრება... სცადა ხელი გაეშვირა მოწყალებისათვის... მაგრამ გაწვდილი ხელი თავის თავად ძირს იხრებოდა... ის კიდევ ჯერ ძალას არ იყო მოკლებული... ის გლახობამდის არ მისულა!...

ვალენტი შურით შესცქეროდა ბრმა ბერიკაცს, რომელიც საყდართან იდგა, ჩატრუკებულიიყო კიტრივით და თბილი ტანისამოსიც ეცვა.

— ღმერთო, შე დალოცვილო, ზოგს რომ ბედს ტ ილბალს მისცემ!..

ვას. ბიბილაშვილი

(დასასრული იქნება)

უცხოეთი

ინგლისი. 16 ივნისს იყო კრება ქალების „Central national Society for vomen's suftrage“ საზოგადოებისა. ამ საზოგადოებას საგნად აქვს მოუპოვოს ქალებს პალატაში და სხვა საპოლიტიკო დაწესებულებაში ხმა, უფლება მონაწილეობის მიღებისა, და ამ მხრივ ქალები გაუთანასწოროს კაცებს. ამ საზოგადოების აზრს თანაუგრძნობს ამ ჟამად თითქმის 300 დეპუტატი ინგლისის პარლამენტისა. საზოგადოება სცდილობს უფრო მრავლად იშოვოს მომხრენი. ზემოხსენებულ კრების თავმჯდომარემ, მისტრის ევა მაკ-ლარენმა სთქვა დიდი იმედი უნდა ვიქონიოთ, რომ კანონმდებლობა შეიწყნარებს ჩვენს თხოვნას, და ქალებსაც მიანიჭებს უფლებას, ხმა ჰქონდეს ქვეყნის საპოლიტიკო ცხოვრებაში. ამისათვისაო—განაგრძო თავმჯდომარემ — ამ საგნის განხილვას აღარ გამოვეკიდები. ეხლა საჭიროა მთელი ჩვენი ყურადღება მივაქციოთ იმას, თუ რა შედეგი ექმნება ზემოხსენებულ უფლების მინიჭებას ქალთათვის (სმენა, სმენა!). ჩვენი საქმე რომ სისწრაფით წინ მიდის, ამისი უტყუარი მოწამეა გამრავლება ჩვენის საზოგადოების წევრთა. დღითი-დღე გვემხრობიან სხვადა-სხვა საპოლიტიკო და საზოგადო დაწესებულებანიც და თავიანთს თანაგრძნობას გვიცხადებენ (მართალია, მართალი!). სხვა-და-სხვა გვარ მოღვაწეთა შორისაც ფეხი მოიკიდა იმ აზრმა, რომ ქალებს შეუძლიანთ დიდი გავლენა იქონიონ კანონმდებლობაზე და ამცნონ, როგორ უნდა შეასრულოს თვისი მოვალეობა, მოსპოს ლოთობა, გარყვნილება, იზრუნოს მუშათათვის და სხვ.

მოვა დრო, როდესაც მოისპობა ქალ-ვაჟთა უთანასწორობა და საზოგადო კეთილდღეობას მაშინ ბევრი აღარა დაუშლის-რა.

შემდეგ მისს იზაბელა ფორდიმ სთქვა, რომ ყოველ მანდილოსანს მომაკვდინებელ ცოდვად ჩაეთვლება, გულ-გრილად შესცქეროდეს თავისის სქესის ავსა თუ კარგს მდგომარეობას. პირიქით, ყველა ვალდებულია, ეცადოს როგორმე, რომ განკარგდეს ქალის მდგომარეობა, როგორც ქმარ-შვილიანობაში, ისე გათხოვებამდეო. მერე ლედი სომერსეტმა, „ამერიკის ინგლისელ ქალთა კავშირის“ სახელით მიართვა კრებას თაიგული, ზედ-წარწერით: „ბრძოლის შემდეგ—გამარჯვება“. ლედი სომერსეტმა ამასთანავე წარმოსთქვა, რომ ქალსაც ისეთივე ხმა უნდა მიენიჭოს, როგორც კაცებსა აქვთ მინიჭებულიო. როდესაც ჩვენ შევიტყეთ, რომ ჰომრულის ერთს მუხლში შეტანილია დამატება იმის შესახებ, რომ ქალებსაც მიენიჭოს საარჩევნო უფლება, ჩვენმა კრებამ გარდასწყვიტა, ყოველი ღონის ძიება იქმნას მიღებული ამ მუხლის დამტკიცებისათვის. ან-კი რად არ უნდა დამტკიცდეს ეს მუხლი, როდესაც მთელს ინგლისში 6 მილიონი სრულ-წლოვანი ქალია, ამათში 2 მილიონზედ მეტი სრულიად თავისუფალი, და არავის შეუძლიან სთქვას, რომ რომლისამე სახელმწიფო თანამდებობის ასრულება იმათ არ შეუძლიანთო.

მ—ს ბერნარდ შო ჩაერია კამათობაში და სთქვა, „რომ თუ ქალებს სურთ მოიპოვონ პოლიტიკური უფლებანი, ეცადნენ რომ მამაკაც თავის სასიამოვნონი აღარ იყვნენ (სიცილი) და უარი სთქვან თავის ბუნებრივ გულ-კეთილობაზედაო“ (არა, არა!!!) ბოლოს კრებამ დიდი მადლობა დაუხადა მ-კლარენს, პარლამენტს წევრს, რომელმაც ქალების ერთ-მუხლში ჩაურთო ის დამატება, რომ ქალებსაც მიენიჭოთ საარჩევნო უფლებაო.

წვრილი ამბავი

გაკაიის სამეფო რკინა ბატარა კუნძულთაგან შესდგება. სხვათა შორის, აქ არის კუნძული მოდოკაი, რომელიც კეთროვანებით არის დასახლებული. ეს სენი ორმოცდაათ წლებში ჩინეთიდგან შეიტანეს გაკაიის სამეფოში. აქ ამ სენმა კარგი ნაადგილი იპოვნა და მთელ სამეფოს მალე მოედო. მთავრობამ, რასაკვირველია, ყურადღება მიაქცია და 1856 წელს განკარგულება მოახდინა, ყველა კეთროვანი მოდოკაის კუნძულზედ გადასახლდესო. მცხოვრებნი ეწინააღმდეგებოდნენ მთავრობას, აკვდმეოფებსა მალავდნენ მთებში და ტყეებში, მაგრამ მთავრობამ მაინც თავისი გაიყვანა და მოდოკაის კუნძულზედ უკვე 800 კეთროვანი გადასახლა.

იყენენ კეთროვანნი ამ კუნძულზედ და უპატრონოდ იყლიტებოდნენ. მხოლოდ 1873 წელს გამოჩნდა ერთი მისიონერი ფრანგი, პატერ დამიენი. ეს ახალგაზდა (33 წლისა იყო), აღზრდილი კეთმოყვარეობით, თავ-გაწოდებათ გაეგზავნა მოდოკაის კუნძულზედ, რომ ღვთაებრივ სიტყვით მაინც ენუგეშებინა სიბრალონი. პატერ დამიენმა გაამხნევა სულით დაცემული ხალხი, ასწავლა თავის მოვლა, პატარა ქოხების აშენება, წამლობა და სხვა. დამიენმა მთელი გაკაიის სამეფო აალაპარაკა და აღაფრთოვანა ამ სნეულთა დასახმარებლად. მალე ყველა კუთხიდგან შემწეობის ხელი გაუწოდეს თავის ბუნებისაგან დასჯილ და დაკარდომილ ძმებს. დაიმართა სკოლები, საავადმეოფოები და სხვ. დამიენი 1889 წელს გარდაიცვალა. მის მოადგილედ ესხა არის იმისავით ახალგაზდა და თავ-გადადებული, კანდელანი. ამ ჟამად მოდოკაიას კუნძულზედ 1,200 კეთროვანია. ამათში მხოლოდ 12 ევროპიელია, 25 ჩინელი, დანარჩენი-კი სულ ადგილობრივი (გაკაიას სამეფოსი) მცხოვრები. ამ 12 ევროპიელს აბარია მართვა-გამგეობა: ამათში ზოგი მოხელეა, ზოგი მღვდელი, ზოგი ექიმი და რამდენიმე „და მოწყალებისა“. მათ ეხმარება 186 ჯანმრთელი ადგილობრივი მცხოვრები. ესენი ნათესავები არიან აკვდმეოფებისა. თვითო კეთროვანი თითქმის 110 მანათი უჯდება მთავრობას წელიწადში, რადგანაც თვით ძლიერ ცოტანი მუშაობენ. ან-კი სად შეუძლიანთ მუშაობა. ბალს თუ მოუვლიან და მცირე რამ საქმეს გააკეთებენ, თორემ სხვა დროს მუსაიფში და სეირნობაშია ატარებენ. სეირნობისათვის 800 ცხენი ჰყავთ. მათი ნუგეში მხოლოდ სარწმუნოებაა, რომელსაც, მართალია, გულ-მოდგინედ ემსახურებიან.

დეპეშა

17 ივნისი

პეტერბურგი. ხელმწიფე იმპერატორმა კეთილ-ინება და ნება დართო ტაგანროგში აუგონ ძეგლი პეტრე დიდს. ტანგანროგის საბჭოს ნება მიეცა შეწირულება მოაგროვოს რუსეთის იმპერიაში.

გამოცხადებულია განკარგულება' რომ დაარსდა აღმოსავლეთის საზოგადოება საქონლის საწყობთა და საქონლის აქეთ-იქით გზავნისა. საზოგადოებას ნება ექმნება სესხი გასცეს საქონლის დაგირავებით. წესდება საზოგადოებისა დამტკიცებულ იქმნა.

ხელის მოწერა გაზ. „Сельскій Вѣстникъ“-ზე წელს შეწყვეტილ იქმნა, რადგან ხელის მომწერლებმა დაიკვეთეს ყველა ის 50,500 ნომერი, რომელიც იბეჭდება ამ ჟამად. „Нов. Вр.“-ას გაუგონია, რომ სერო გარდასახადის ახალ კანონის განხილვა სახელმწიფო საბჭოს მიერ ამ წლის დამლევს დასრულდება და 1894 წლის დამდეგიდამ შევა ძალაში.

ბერლინი. მემკვიდრე ცესარევიჩი მოგზაურობა აქ დღეს საღამოს $8^1/_2$ საათზე, ჩამოხდა რუსეთის საელჩოს სახლში და საღამოს $10^1/_4$ საათზე მისმა უმაღლესობამ განაგრძო თავისი მოგზაურობა.

18 ივნისი

ლონდონი. გუშინ საზოგადოებათა პალატაში მორლეიმ განმარტა გლადსტონის მიერ გამოცხადებული პლანი ირლანდიის ბილლის განხილვისა მუხლ-მუხლობით. ამ პლანით განხილვა მუხლთა 5—8-მდე უნდა გათავდეს 6 ივლისს საღამოს; 9—26-მდე—13 ივლისს საღამოს 10 საათამდე; 27—40-მდე—20 ივლისს; ეს სხვა დროსთვის გადადებულნი და ჩასამატებელნი მუხლნი, რომელნიც [illegible] კამათობის დროს მოინდომებენ ჩასამატებლად, გადაწყვეტილია მთავრობამ აღარ განიხილოს და ამათთვის პირდაპირ კენჭი იქმნას ჩაყრილი. ეთხოვოს საზოგადოებათა პალატას, რომ ხვალინდელი კრება გათავდეს ღამის 12 საათზე ადრე. მორლეის ნალაპარაკევი დიდის თანაგრძნობით მიეგებნენ. რუსსელმა სთქვა, რომ მე [illegible]ალვუდგები გლადსტონის სარჩელსაო, იმიტომ რომ, ჩემის აზრით, ირლანდიის ბილლი სრულიად ახალი კონსტიტუციაა, ისეთი კონსტიტუცია, რომელიც დიდს ზარალს მოუტანს დიდის ბრიტანიის ქვეშევრდომთა ინტერესებსაო. „პალატამაო, დასკვნა ორატორმა, არ უნდა მოიწოლოს ისეთი წინადადება, რომელიც [illegible]ვევს სჯა-კამათობის თავისუფლებასაო“.

ნიუ-იორკი. ვერცხლის ფასის და [illegible]ამ შიშის ზარი დასცა ვერცხლის [illegible]ნების პატრონთ. უმს, ნევადასა და მონტანს უკვე ნაბრძანებია ზოგიერთი მადნები გაუქმდეს; ზოგიერთები კიდევ შემდეგ იქმნება გაუქმებული, თუ ვითარება ბაზრისა არ განკარგდება.

ᲑᲐᲜᲪᲮᲐᲓᲔᲑᲐᲜᲘ

კბილის ექიმი
Ა. Ი. ᲝᲠᲑᲔᲚᲘ

სოლოლაკზედ, საკუთ. სახლებში №№ 14—16

ავადმყოფებს მიიღებს:

დილით 8-დგან 12 საათამდე.

საღამოთი 4-დგან 6 საათამდე.

ᲙᲕᲘᲠᲐ-ᲣᲥᲛᲔ ᲓᲦᲔᲔᲑᲨᲘ

დილის 8 საათიდგან ნაშუადღევიე 2 საათამდე. (150—68)

პირველი კერძო სამკურნალო

ექიმ ის ნავასარდიანისა

(კუკიაში, ვარანცოვის ძეგლის პირდაპირ).

ავადმყოფთ იღებენ და სინჯავენ ექიმნი ყოველ-დღე, კვირა დღეებს გარდა.

დილაობით იღებენ:

ბ. ს. ნავასარდიანი, 11—12 საათამდის იმათ, ვისაც სჭირს სნეულებანი: გარეგანი (ხირურგიული), კბილებისა, ვენერიული და ათაშანგი (სიფილისი).

ე. მ. ჩიქოანი, 9—10 საათამდის, სნეულებანი: თვალის და ნერვებისა—ტანში ტკივილებისა.

დ. გ. რუდკოვსკი, 10—11 საათამდის, სნეულებანი: შინაგანი, ბავშვებისა და დედათა სქესისა.

ი. ფ. ბროტასევიჩი, $11^1/_2$—$12^1/_2$ საათამდის, სნეულებანი: ყურის, ყელის და ცხვირისა.

მ. ზ. ქანანოვი, $12^1/_2$—1 საათამდის, სნეულებანი: საბებიო და დედათ სქესისა.

ს. ბ. კარაბეტიანცი, 1—$1^1/_2$ საათამდის, სნეულებანი: შინაგანი და ბავშვებისა.

საღამოობით მიიღებენ:

ს. მ. ფუგინოვი, 5—6 საათამდის, სნეულებანი: ბავშვებისა და შინაგანი.

ი. გ. ჩებურკოვსკი, 5—6 საათამდის, სნეულებანი: თვალის და გულმკერდისა; ხიმიურად და მიკროსკოპიულად გასინჯავს ნახველს (ხორხს) და შარდს.

ს. ს. გადომსკი, 6—7 საათამდის, სნეულებანი: ათაშანგი (სიფილისი), ხორცის კანის და გარეგანი (ხირურგიული).

ბ. ს. ნავასარდიანი, 7—$7^1/_2$ საათამდის.

ე. ი. ფრანციუსი, 7—$7^1/_2$ საათამდის, სნეულებანი: ყურის, ყელის, და ცხვირისა (ელექტრონით და ზელვით წამლობა) ორშაბათობით, ოთხშაბათობით და პარასკეობით.

რჩევა-დარიგების და რეცეფტის დაწერის ფასი ათი შაურია; ფასი ექიმთა კრების რჩევისათვის (კონსილიუმისათვის) და ოპერაციებისათვის—მორიგებით.

დირექტორი სამკურნალოისა, დოქტორი მედიცინისა ნავასარდიანი.

ტფილ. გამოფენა.

ვერცხლისა



ოქროსი

ᲫᲚᲐᲚᲝ თუთაქვის

ზეთიანის კრასკების ქარხანა იარმუკაზედ

ᲢᲤᲘᲚᲘᲡᲨᲘ:

ვიღებ სახლების აშენებას, აგრედვე სახლების შეკეთებას (ремонтъ) და შეღებვას (полная окраска домовъ). ვყიდი ფაბრიკის ფასად ზეთს, ყოველ ნაირ ზეთიანს და მშრალ კრასკებს, აგრედვე ლიტო-ტიპოგრაფიისას და ამათ მოწყობილებას, კრასკები შეიძლება დაიბარონ სხვა ქვეყნებშიაც $20^0/_0$-ის ბეის გამოგზავნით, დანარჩენი საქონელის მიღების დროს (наложеннымъ платежомъ). რაც შეეხება კარგი თვისების და კარგა შეზავებულის კრასკის გაყიდვას, ყველა მსყიდველი დარწმუნებული უნდა იყოს რომ უტყუარი იქნება. ჩემის საშუალებით და ჩემის თავდებობით შეუძლიან ყველას ყველანაირის სინიდისიანის ხელოსნებისშოვნა, მხოლოდ ცოტა ადრე უნდა შეგვატყობინონ.

(48—20) ალ. თუთაქვი

Leichner's Fettpuder

მსუქანი პუდრა ლეიხნერისა

კოლოფოთ 1 მანეთია

პუდრა დილისა და საღამოს სახმარი, სახეს არ ემჩნევა. პირის კანს აკეთებს. თეატრის გრიმისთვისაც კარგია. მსუქანი ფერ-უმარილი. ყარანდაში წარბებისთვის. რუსეთის ყველა აფთიაქში და კოსმეტიურ მაღაზიებში იშოვება.

ლ. ლეიხნერი, ბერლინში,

ბელგიის საიმპერატორო თეატრის იჯარადარი.

უმთავრესი საწყობი რუსეთისათვის: В. Аурихъ, Колокольная, 18—19.

С.-Петербургъ. (6—4)

ᲜᲣ ᲣᲘᲓᲣᲚᲝᲒᲗ ოლეო-ვაზელინის საპონს ᲠᲝᲘᲐᲚᲘᲡ-ᲙᲠᲝᲜᲒᲝ

რომელსაც ვასაფრთხილებელი ნიშნები არა ჰქონდეს ᲒᲐᲛᲝᲛᲘᲜᲔᲑᲘᲐᲕᲐᲜ

Ე. ᲑᲝᲓᲚᲝ ᲓᲐ ᲙᲝ-ᲡᲐᲒᲐᲜ



ᲐᲮᲐᲚᲘ ᲐᲛᲒᲐᲕᲘᲐ!

საპონი ოლეო-ვაზელინი, ტოპილობრისი.

ფაბრიკა: Москва, 3-я Мѣщнская, д. № 49. магазинъ: китайскій проѣздъ, д. Хлудовыхъ.

იყიდება ყველა საუკეთესო პარფიუმერიის და საფთიაქო მაღაზიებში. (4—4)

„ᲜᲔᲕᲘᲡ ᲙᲐᲠᲘᲖᲔᲑᲘ“

ᲓᲣᲮᲔᲑᲘ—„ნევის კარიზი“
ᲝᲓᲔᲙᲝᲚᲝᲜᲘ—„ნევის კარიზი“
ᲡᲐᲞᲝᲜᲘ—„ნევის კარიზი“

„მიუსკ“ დუხები | ახალი ამბავი ს.-პეტერბურგის | „მიუსკ“ საბ. ᲚᲝᲓᲔᲙ.

სატეხნიკო და სახიმიო ლაბორატორიისა.

„ᲙᲐᲠᲘᲖ ᲜᲔᲕᲘᲡ“ გასაკეთებელს იარალს მრავალი კარგი ღირსება აქვს და დამზადებულია ქ. ჩიკაგოს გამოფენისათვის.

საწყობები: С.-ПЕТЕРБУРГЪ, площадь Александринскаго театра, 9.

Москва, Никольская, д. Шереметьева.

Варшава, Новый Свѣтъ, 37, და საუკეთესო რუსეთის მაღაზიებში

(50—7)

ᲡᲐᲞᲝᲚᲘᲢᲘᲙᲝ ᲓᲐ ᲡᲐᲚᲘᲢᲔᲠᲐᲢᲣᲠᲝ ᲒᲐᲖᲔᲗᲘ

„ᲘᲕᲔᲠᲘᲐ“

ამ 1893 წელს გამოდის ყოველ-დღე, გარდა იმ დღეებისა, რომელნიც ზედ მოსდევენ კვირა-უქმეებს, იმავე პროგრამით, რა პროგრამითაც დღემდე გამოდიოდა. ფასი გაზეთისა:

12 თვითი. . .	10 მ.—კ.	6 თვითი . . .	6 მ.—კ.
11 „ . . .	9 „ 50„	5 „ . . .	5 „ 50„
10 „ . . .	8 „ 75„	4 „ . . .	4 „ 75„
9 „ . . .	8 „ —„	3 „ . . .	3 „ 50„
8 „ . . .	7 „ 25„	2 „ . . .	2 „ 75„
7 „ . . .	6 „ 50„	1 „ . . .	1 „ 50„

საზღვარ-გარეთ დაბარებული ეღირება 17 მან. მთელის წლით. სოფლის მასწავლებელთ „ივერია“ მთელის წლით დაეთმობათ 8 მან. ტფილისის გარედ მცხოვრებ უნდა დაიბარონ გაზეთია შემდეგის ადრესით: Тифлисъ. Въ редакцію грузинской газеты „ИВѢРІЯ“.

თუ ტფილისში დაკვეთილი გაზეთი ტფილისს გარეშე ადრესზედ შესცვალა ვინმე, უნდა წარმოადგინოს რედაქციაში ერთი მანათი; სხვა ყოველის ადრესის შეცვლაზე—40 კაპ.

თუ თვის განმავლობაში დაიკვეთა ვინმემ გაზეთი არა მთელის წლითა, მის მხოლოდ შემდეგის თვის პირველ ღიდგან გაეგზავნებათ. გაცხადება მიიღება გაზეთის რედაქციაში.

ᲤᲐᲡᲘ ᲒᲐᲜᲪᲮᲐᲓᲔᲑᲘᲡ ᲓᲐᲑᲔᲭᲓᲕᲘᲡᲐᲗᲕᲘᲡ:

ა) მოთხუ გვერდზედ თითო ჯერ სტრიქონი 8 კაპ., პირველზე—16 კაპ. ბ) სრულიდ უკანასკნელი გვერდი 30 მანათი, ხოლო პირველი გვერდი—60 მანათი. რიცხვი სტრიქონებისა გამოინგარიშება იმის კვალობაზე, რამდენს ადგილსაც დაიჭერს 25 ასო გაზეთის ტექსტისა.

ხელ-ნაწერი და საგაზეთოდ დანიშნული წერილები და კორესპონდენციები, რედაქციის სახელობაზედ უნდა გამოიგზავნოს. მიღებული ხელ-ნაწერები, ან საგაზეთო წერილები, თუ საჭიროება მოითხოვს, ან შემოკლებულ, ან შესწორებულ იქმნება. არ-დასაბეჭდს ხელ-ნაწერებს, თუ ერთის თოვის განმავლობაში პატრონებმა არ მოიკითხეს, მერე რედაქციას ვეღარ მოსთხოვენ.

არა-გვარს მიწერ-მოწერას არ-დასაბეჭდთა ხელ-ნაწერებისა და წერილების შესახებ რედაქცია არა ჰკისრულობს.

პირდაპირ მოლაპარაკებისათვის რედაქცია თავისუფალი იქნება ყოველ-დღე, კვირა-უქმეებს გარდა, პირველ საათიდგან სამ საათამდე და საღამოობით 7-დგან 8 საათამდე.

რედაქცია იმყოფება: კუკიაში, ნიკოლოზის ქუჩაზე, თავ. გრუზინსკისულს სახლებში, № 21.

Дозв. ценз. Тифлисъ, 18-го Іюня 1893 г. სტამბა მ. შარაძისა. რედაქტორ-გამომცემელი ᲘᲚᲘᲐ ᲭᲐᲕᲭᲐᲕᲐᲫᲔ